



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლელა ბუბაშვილი

წევრები:

სოფიო ტარასაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

ნინო შუბლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ნიკოლოზ გურგენიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);

მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);

ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);

ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	204859741

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ვაჟა-ფშაველას 71
საფოსტო ინდექსი	0186
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/165?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi126@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	2327464 2324488

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ, 21/05/2024 MES 2 24 0000551253
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	10-11 ივნისი 2024 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	თბილისი. ვაჟა-ფშაველას 71
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	თბილისი. ვაჟა-ფშაველას 71
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	თბილისი. ვაჟა-ფშაველას 71

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა წარმატებით. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუების პროცესი სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. ექსპერტებმა ადგილზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი, თანამშრომელთა პირადი საქმეები და წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

საგნობრივი ექსპერტები ონლაინ რეჟიმში გაესაუბრნენ მასწავლებლებს და მოიპოვეს ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი ასევე ონლაინ რეჟიმში გაესაუბრა მასწავლებლებს, შემდეგ საგნობრივი შემოწმის და რევიზიის ჩატარა დაწყებით საფეხურზე შემავალი საგნების საგნობრივი ექსპერტების მიერ შევსებულ დანართებს („ჩეკლისტებს“) პროგრამების მიხედვით;

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1800	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ზოგადი განათლების შუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ამწოვი კარადის დამონტაჟება 2024 წლის 16 სექტემბერი - 2025 წლის 16 სექტემბერი
ინდიკატორი N3.5.1.2.	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში უზრუნველყოს შიდა პანდუსების დამონტაჟება 2024 წლის 16 სექტემბერი - 2026 წლის 16 სექტემბერი
ინდიკატორი...		
ინდიკატორი...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: • სკოლის ეზოში, გარე პერიმეტრზე, კერძოდ, შესასვლელ ჭიშკრებთან უზრუნველყოს ვიდეო-კამერების დაყენება, ნებისმიერი საფრთხის შემცველი ქმედების პრევენციისა და მყისიერი რეაგირებისათვის; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 1.03.2022წ. წარმოდგენილი რეგულაციების საფუძველზე, განახორციელოს ექთნის საშტატო ერთეულის დამატება; • იზრუნოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის დასაქმებაზე, შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან დაკავშირებით;



სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N4.2.1.5	სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;	ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ მარეგულირებელ დოკუმენტში კონკრეტულად გაიწეროს მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის უზრუნველყოფის მექანიზმები, პასუხისმგებელი პირებისა და ვადების მითითებით.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	სასურველია მე-5 კლასის კურიკულუმის პირველ სვეტში თემატური ბლოკის ნაცვლად ჩაიწეროს თემები, რომელსაც სავალდებულოდ განსაზღვრავს სტანდარტი (მათემატიკა, დაწყებითი საფეხური). რადგანაც ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სავალდებულო თემებს, სასურველია, პირველ სვეტში ჩაწერილი თემები დაზუსტდეს სტანდარტის მიხედვით, მესამე სვეტში კი დაკონკრეტდეს საკითხები თემის ფარგლებში, გრიფირებულ სახელმძღვანელოებზე და სხვა დამატებით სასწავლო რესურსებზე დაყრდნობით (მათემატიკა, საშუალო საფეხური). კურიკულუმის შემუშავებისას იხელმძღვანელონ სტანდარტით შემოთავაზებული სავალდებულო თემებით. კურიკულუმში გაწეროთ არა სახელმძღვანელოს თავის დასახელება, არამედ თემა. (ადამიანი და მისი ცხოვრება, სამყაროს შეცნობა, მარადიული ძიებები) საბაზო საფეხური, სახელმწიფო ენა.



		კურიკულუმის შემუშავებისას გთხოვთ იხელმძღვანელოთ სტანდარტით შემოთავაზებული სავალდებულო თემებით . კურიკულუმში გაწეროთ არა სახელმძღვანელოს თავის დასახელება, არამედ თემა (ქრონოლოგიის პრინციპით) საშუალო საფეხური, სახელმწიფო ენა. დოკუმენტის შედგენისას მნიშვნელოვანია სწორად იყოს ფორმულირებული სკოლის სახელწოდება, საგანი და კლასები, რომელშიც ისწავლება კონკრეტული საგანი (პროექტული სწავლება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში).
ინდიკატორი N2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია დაწყებითი საფეხურის მე-5 კლასის მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩოს ბოლო სვეტში „სასწავლო რესურსები“ ჩაიწეროს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, ასევე მასწავლებელთა მიერ შექმნილი რესურსები, რომელებიც მოსწავლეებს დაეხმარება თემის უკეთ გაგება/გააზრებაში (მათემატიკა, დაწყებითი საფეხური). სასურველია საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩოს ბოლო სვეტში „სასწავლო რესურსები“ ჩაიწეროს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, ასევე მასწავლებელთა მიერ შექმნილი რესურსები, რომელებიც მოსწავლეებს დაეხმარება თემის უკეთ გაგება/გააზრებაში (მათემატიკა, საშუალო საფეხური). სასურველია, საგანში სპორტი, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში (1-4 კლასებში) სასწავლო რესურსების ჩამონათვალში დაემატოს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია სტანდარტით განსაზღვრული შეფასების ინდიკატორების გამოყენებით, თითოეული თემისთვის, შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები .(მათემატიკა, დაწყებითი საფეხური). სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში პროექტული სწავლების შეფასების რუბრიკის შემუშავებისას, სასურველია, მეტად იყოს გამოკვეთილი ცნებების მიღწევის ინდიკატორები და საგნობრივი მიმართულებით კომპონენტები. პროექტული სწავლების შეფასების რუბრიკის შემუშავებისას, სასურველია, მეტად იყოს გამოკვეთილი ცნებების მიღწევის ინდიკატორები და საგნობრივი



		მიმართლებით კომპონენტები. (პროექტული სწავლება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში).
ინდიკატორი N2.1.2.1 ინდიკატორი N2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	სასურველია საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებს (ნაცვლად კურიკულუმის ჩარჩოს „კომპლექსური დავალების იდეა“- სვეტში ჩაწერილი შინაარსისა) დაერთოს კომპლექსური დავალების პირობები, სადაც კარგად გამოჩნდება რა ცოდნის კონსტრუირებას უნდა მოემსახუროს კომპლექსური დავალება, რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა და რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს. სასურველია საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებს დაერთოს კომპლექსური დავალების პირობები, რომელშიც კარგად გამოჩნდება რა ცოდნის კონსტრუირებას უნდა მოემსახუროს კომპლექსური დავალება, რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა და რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს (მათემატიკა, საშუალო საფეხური).
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებს დანართის სახით დაემატოს თემატური მატრიცები, სადაც ნაბიჯების მიხედვით გაწერილი იქნება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები, აქტივობები, რესურსები, შეფასების რუბრიკები (მათემატიკა, საბაზო საფეხური). სასურველია საშუალო საფეხურის XII კლასის კურიკულუმში არჩეული იქნას კომპლექსური ხასიათის დავალება, რომელიც ხელს შეუწყობს კონკრეტული თემის საფუძვლიან გააზრებას და დაეხმარება მოსწავლეებს სხვადასხვა ფუნქციური უნარის განვითარებაში (მათემატიკა, საშუალო საფეხური). სასურველია საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებს დანართის სახით დაემატოს ყველა კომპლექსური დავალების შესაბამისი თემატური მატრიცა, სადაც ნაბიჯების მიხედვით გაწერილი იქნება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები, აქტივობები, რესურსები, შეფასების რუბრიკები (მათემატიკა, საშუალო საფეხური).
ინდიკატორი N2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	სასურველია მათემატიკის კათედრამ გამოიყენოს სკოლაში არსებული STEM ლაბორატორია, დაგეგმოს და განახორციელოს ინტეგრირებული პროექტები საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებთან თანამშრომლობით (მათემატიკა, საბაზო და საშუალო საფეხური).

ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის სანდო	სასურველია სტანდარტით განსაზღვრული შეფასების ინდიკატორების გამოყენებით, თითოეული თემისთვის, შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (მათემატიკა, საბაზო საფეხური). სასურველია თითოეული თემისთვის, ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების ინდიკატორების გამოყენებით, შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (მათემატიკა, საშუალო საფეხური).
ინდიკატორი N2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, დაწყებით საფეხურზე მუსიკის გაკვეთილებზე გამოყენებული იქნეს სხვადასხვა ინსტრუმენტების პლაკატები, ან თავად ინსტრუმენტები სათამაშოების სახით. სასურველია, საბაზო საფეხურზე, მუსიკის სწავლებისას მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული პროექტორი და დამატებითი ვიზუალური მასალა.
ინდიკატორი N2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	რადგან სკოლას ჰყავს კვალიფიციური კადრი მუსიკის სწავლების მიმართულებით, სასურველია, დაწყებით საფეხურზე , დაწყებითი საგნების მასწავლებლების ნაცვლად მუსიკის საგანი ასწავლონ მუსიკის სწავლების კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებმა.
ინდიკატორი N2.1.2.1 ინდიკატორი N2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	საშუალო საფეხურზე, მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმში წლის განმავლობაში უნდა მოხდეს ორი პროექტის დამუშავება, შესაბამისად, დოკუმენტში ორი პროექტი უნდა იყოს მითითებული. სასურველია, საგანში სპორტი, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში დაემატოს თეორიული თემები, მაგ., მავნე ჩვევების პრევენცია, წარჩინებული ქართული სპორტსმენები ან სხვ. სასურველია, საგანში სპორტი, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სამივე კლასში (10-12 კლასებში) თემა „ოლიმპიზმი“-ს ფარგლებში შეთავაზებული იყოს განსხვავებული საკითხები/საკითხთა კლასტერები.
ინდიკატორი N2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	რადგან სკოლას ჰყავს კვალიფიციური კადრი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მიმართულებით, სასურველია, დაწყებით საფეხურზე , დაწყებითი საგნების მასწავლებლების ნაცვლად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანი ასწავლონ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებმა.



VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი ინფორმაცია და სრულად გაიზიარა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები დეკლარირებულია 2023-24 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში(2023-2030). სკოლის მისიაა: „ჩვენ მზად ვართ, სკოლაში შევქმნათ უსაფრთხო და თანამშრომლობითი გარემო, სადაც ყველა მოსწავლისათვის სწავლა საინტერესო, მისაღები და დაფასებული იქნება, სადაც მომავალ თაობას ექნება საშუალება ჩამოყალიბდეს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, შრომისმოყვარე და პატრიოტ მოქალაქეებად“. ხედვით განსაზღვრულია უსაფრთხო ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ინკლუზიური გარემოს შექმნაში, სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვით, სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა, სადაც ყველა მოსწავლე და სკოლის კურსდამთავრებული შეძლებს თავის მაქსიმალურ რეალიზებას, დამკვიდრებას გლობალურ სამყაროში, შეძლებს წარმატების მიღებასა და სხვების დახმარებას წარმატების მიღწევაში. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მისიის მიხედვით სკოლა ქმნის უსაფრთხო და პიროვნულგანვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს, სადაც, გადანაწილებულია პასუხისმგებლობა მოსწავლეებს, ოჯახებს, სკოლის პერსონალსა და სასკოლო საზოგადოებას შორის. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო, რომელიც ხელს უწყობს თითოეულ



მოსწავლეს და სკოლაში დასაქმებულ პირს მაქსიმალურად მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში აქტიურად არიან ჩართულები მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები. სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი(დირექტორის ბრძანება N2-101, 10/04.2023), რომლის შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები. ამ ჯგუფის შეხვედრებზე შემუშავდა სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის პროექტები. ამავე დროს, სკოლას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარი სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის Google Forms-ის პროგრამით. კითხვარების დამუშავების შედეგად გამოკვეთილი მოსაზრებები და მოთხოვნები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში. მისიის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ, აგრეთვე სკოლის თვითშეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის დეკლარირებული სასკოლო სასწავლო გეგმასა და სტრატეგიულ გეგმაში. სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს ხდომაზე (2023 წლის 25 სექტემბერი, ოქმი N8) და წარდგენილია სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე (2023 წლის 8 სექტემბერი, ოქმი N5), შესაბამისად სკოლის ფილოსოფია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის დერეფანში, ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე. შესაბამისად საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
6. სკოლის სახელი სსიპ - ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლა სრულად შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით განსაზღვრულ სტატუსს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა 2023-24 სასწ.წ;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა(2023-2030);
- სკოლის ვებ. გვერდი - <https://skolebi.emis.ge/schools/165?schoolName>
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1;

- დირექტორის ბრძანება N2-101, 10/04.2023;
- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით შექმნილი კითხვარი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით(ბრძანება N2-102. 10/04.2023) დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისას იცავს შემდეგ პრონციპებს:

- თანამონაწილეობა;
- სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება;
- გამჭვირვალობა;
- ანგარიშვალდებულება

სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული არიან: სკოლის დირექცია და დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე. სამუშაო პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც ახორციელებს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის კოორდინაციას, უზრუნველყოფს სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაციას, წვდომას ყველა საჭირო ინფორმაციაზე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განსაზღვრულია ყოველწლიურად, SWOT ანალიზის საფუძველზე ხდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის გადახედვა იგეგმება ყოველი ახალი ციკლის დაწყების წინ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი (2023-2030) გეგმა, რომელიც განხილულია პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 19 მაისის N2 სხდომაზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის N10 სხდომაზე. შვიდწლიან გეგმაში მოცემულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, განხორციელების ვადები წლების მიხედვით, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ინდიკატორები. სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები მისიასთან თავსებადია. სტრატეგიული განვითარების გეგმა არის 7 წლიანი. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით ყოველ შვიდ წელიწადში ხდება გრძელვადიანი გეგმის შემუშავება, რაც უზრუნველყოფს მის ციკლურ ხასიათს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლას შემუშავებული აქვს 2023-24 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის N10 სხდომაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ გეგმის შედგენისას სკოლამ იხელმძღვანელა წინა სასწავლო წლის SWOT ანალიზით, რომელიც განიხილეს ოთხი მიმართულებით: ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. ამავე დროს, სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები თანამშრომლებისთვის, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის, ფორმის პროგრამით. მათი მოსაზრებების გათვალისწინება ხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სამოქმედო გეგმაში, სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, სკოლას გათვალისწინებული აქვს აქტივობები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმაში დაზუსტებულია თითოეული აქტივობისათვის განსაზღვრული ვადა, შესრულების ინდიკატორები და რესურსები(ადამიანური და მატერიალური).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია(დირექტორის ბრძანება N2-102, 10.04.2023);
- სამოქმედო გეგმა 2023-24(სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N10, 7/09/2023);
- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030(სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი10, 7.09.2023);
- თანამშრომელთა კითხვარი;
- მოსწავლის კითხვარი;
- მშობლის კითხვარი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწერილია შესრულების მონიტორინგისა და შეფასების რეგულაციები დანართი N1). გეგმის შესრულების ნგარიში



ხორციელდება ყოველ 3 წელიწადში და შვიდი წლის გასვლის შემდეგ. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ივსება ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფის წევრები აფასებენ აქტივობებს შემდეგი სტატუსებით: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“ ან „არ შესრულდა“. ამის შემდეგ ხდება მონიტორინგის შედეგების ანალიზი და შეფასების პროცესი. მეთოდოლოგიაში გაწერილია მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, მონიტორინგის ინსტრუმენტები და ვადები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა გეგმავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, გათვალისწინებულია სკოლის დირექციის, სასკოლო საზოგადოების (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი), სამეურვეო საბჭოსა და თემის ჩართულობა და უკუკავშირი ამ პროცესში; უკუკავშირის მიღება ხორციელდება ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელების, დრაივის, სკოლის ვებგვერდის, საჯარო ღონისძიებების საშუალებით, პედაგოგის და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე, ბეჭდვითი მასალებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლა (თავი 12. გაზიარების მექანიზმები), სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების გაზიარებისთვის გამოიყენებს შემდეგ საშუალებებს:
 - ელექტრონული ფოსტა;
 - სოციალური ქსელი;
 - საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან;
 - სკოლის სტენდი.

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროობა მიმდინარე წარმოების ფარგლებში არ არის შეფასებადი

4. სკოლის მიმდინარე სამოქმედო გეგმის შემუშავებისას სკოლამ იხელმძღვანელა წინა სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანალიზითა და თვითშეფასებით. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს შეაჯამებენ მომავალი სასწავლო წლის ბოლოს და გამოიყენებენ სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი მიმდინარე წარმოების ფარგლებში არ არის შეფასებადი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია გრაფიკული გამოსახულებით. იგი მოიცავს კოლეციალურ სტრუქტურულ ერთეულებს: სამეურვეო საბჭო, დირექცია, ადმინისტრაცია, პედაგოგიურ საბჭო, დისციპლინურ კომიტეტი, საგნობრივი ჯგუფის კათედრები და მოსწავლეთა თვითმმართველობა. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობენ ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდებით“ გაწერილი უფლებამოსილების ფარგლებში. **პედაგოგიურ საბჭო შედგება** სკოლის ყველა მასწავლებლის, მათ შორის, ადმინისტრაციის წევრისგან, რომლებთანაც ასევე გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები როგორც საგნის მასწავლებელთან. საბჭოს შემადგენლობაშია სპეციალური მასწავლებლებიც. **სამეურვეო საბჭო შედგება** არჩეული მასწავლებლებისა და მშობლებისაგან (თანაბარი რაოდენობით), ასევე, სათათბირო ხმის უფლებით საბჭოს შემადგენლობაში



შედის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. სკოლაში არის **9 (ცხრა) საგნობრივი კათედრა**, რომლებშიც გაერთიანებული არიან მასწავლებლები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. კათედრის წევრები გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების რეჟიმში უზიარებენ გამოცდილებას. კათედრები თავის საქმიანობას ახორციელებენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული კათედრის დებულებით; კათედრის სხდომა ფორმდება კათედრის სხდომის ოქმით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმები, შესაბამის ვადებში და შესაბამისი დღის წესრიგით. სკოლაში სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულია **დისციპლინური კომიტეტი**, რომელიც იხილავს დისციპლინურ გადაცდომებს. დისციპლინური კომიტეტში თანაბარი რაოდენობით შედის მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი. დისციპლინურ კომიტეტში საკუთრი წარმომადგენლებს ასახელებენ სამეურვეო საბჭო (მშობლებს), პედაგოგიური საბჭო (მასწავლებლებს) და მოსწავლეთა თვითმმართველობა (მოსწავლეებს). **მოსწავლეთა თვითმმართველობა** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არჩეულია სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, შესაბამისი საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან, ერთი წლის ვადით. თავის მხრივ, შესაბამისი საფეხურების თვითმმართველობებს არჩეული ჰყავთ თავმჯდომარეები. აღნიშნული სტრუქტურული რგოლი აქტიურად არის ჩართული სკოლის მართვასა და ფუნქციონირებაში. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია **მრჩეველთა საბჭო, მასწავლებლის პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ისგ ჯგუფი, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი**. დირექტორის ბრძანებით შექმნილია **საკონკურსო კომისიები და საინვენტარიზაციო კომისიები**.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი. დასაქმებული პირების ფუნქციები განსაზღვრულია სხვადასხვა დოკუმენტებში: დასაქმებულ პირებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში მკაფიოდაა განსაზღვრული მათი ვალდებულებები. ასევე დეტალურადაა გაწერილი დასაქმებულთა ფუნქციები სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში. ამავე დოკუმენტიანაა გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორიცაა: ფუნქციები და პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები, ანგარიშგება. დასაქმებულ პირებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში მკაფიოდაა განსაზღვრული მათი უფლებები და ვალდებულებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ყველა თანამშრომელი, რომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით, შინაგანაწესით და ხელშეკრულებებით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. ყველა



კოლეგიური/სტრუქტურული რგოლი იკრიბება სამუშაო შეხვედრებსა და სხდომებზე და არსებით გადაწყვეტილებებს აფიქსირებენ ოქმის სახით. აღნიშნულით უზრუნველყოფილია გადაწყვეტილებათა გუნდურად მიღების პრინციპი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, მრჩეველთა საბჭოს და საგნობრივ კათედრებს სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული აქვთ სამუშაო გეგმები, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. საგნობრივი კათედრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ქმნიან სასწავლო პროგრამებსა და სასწავლო რესურსებს. მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან სკოლის მანდატურები და მრჩეველთა საბჭო. ისინი უზრუნველყოფენ სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და რეკომენდაციებს წარადგენენ მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე. სკოლის მიერ შემუშავებული თანამდებობრივი ინსტრუქციით გაწერილია ანგარიშვალდებულების სისტემა, თუ ვის ექვემდებარებიან და ვის წინაშე არიან უშუალოდ ანგარიშვალდებულები საქმიანობის განხორციელებისას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები და თანამშრომლები ჩართულები არიან სასკოლო ცხოვრებაში, ისინი სხდომებზე წარადგენენ რეკომენდაციებს, იღებენ გადაწყვეტილებებს უფლებამოსილების ფარგლებში, განიხილავენ და აჯამებენ მიმდინარე პროცესებს. სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შედგენისას განსაზღვრული ჰყავს არსებული ადამიანური რესურსი, რომელიც ჩართული იქნება განხორციელების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- შინაგანაწესი;
- თვითმართვებლობის დებულება;
- კათედრის დებულება;
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და მორგებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაარსს. დოკუმენტი მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და გამოყენების სფეროს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების ღირებულებებს, ადამიანური რესურსების მართვის ციკლს, სამუშაო აღწერილობებს, კადრების მოზიდვა/შერჩევას, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები, ასევე, წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია:

ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები. პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით



განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. შემუშავებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სადაც მკაფიოდ არის გამოკვეთილი, რომ დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელება ხელშეწყობილია ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის მიზნობრივად და ეფექტურად გადანაწილებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია პერსონალის მართვის ისეთ სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების უწყვეტობას, ასევე აღწერილია პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები. სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის მიზანია: ა) სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა; ბ) მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა; გ) სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება; დ) სკოლის მასწავლებლებისთვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ჯგუფი ახორციელებს მასწავლებელთა შიდა შეფასებას; მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას და შეფასებას; მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე; საჭიროების შემთხვევაში, ადგენს გაკვეთილებზე დასწრების განრიგს; მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს; აძლევს რეკომენდაციებს პროფესიული განვითარების მიზნით აქტივობებისა და ტრენინგების დაგეგმვაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის მიერ დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დაწესებულებაში თანამშრომელთა მიღების წესი. დოკუმენტში „სსიპ ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ მე-6 მუხლში გაწერილია კადრების მოზიდვისა და შერჩევის პროცედურები. სკოლაში მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის/სპეციალური მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კონკურსის გამოცხადების წესი და პროცედურების დოკუმენტი. საკონკურსო განაცხადი თავსდება საჯაროს სკოლის სივრცეში და ასევე - ელექტრონულ პლატფორმაზე <https://teacherjobs.ge/>. კონკურსის სამართლიანად, ობიექტურად, მოუკერძოებლად და გამჭვირვალედ ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვრება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც,



ასევე, გათვალისწინებულია მოწვეული პირები: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლები. საკონკურსო კომისია უზრუნველყოფს კონკურსის ეტაპების ჩატარებასა და კონკურსანტების შერჩევის პროცესს. შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ვადის დაცვით იღებს გადაწყვეტილებას საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კანდიდატის შერჩევის თაობაზე. ინკლუზიური განათლებაში ჩართული სპეციალისტების შერჩევა, ასევე, ხდება კონკურსის წესით, ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, ასევე, სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებები სტატუსების შესაბამისად არის გაფორმებული (ამჟამად სკოლაში დასაქმებულია 125 თანამშრომელი, აქედან 96 - მასწავლებელი, რომელთა შორის არის 3 - მენტორი, 18 - წამყვანი, 69 - უფროსი, 2 - მოწვეული, 2 - მაძიებელი მასწავლებელი, 2 - სტატუსის გარეშე). მასწავლებლებთან ხელშეკრულებები დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ასევე შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციასთან პერსონალის კვალიფიკაცია. სკოლას პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებთან ერთად გაწერილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები დოკუმენტში - თანამდებობრივი ინსტრუქციები. მასწავლებლების და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება კანონმდებლობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა მიზნად ისახავს „ჩვენ“ განცდისა და ერთგულების ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში და ინიციატივების განვითარებას გუნდში. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში პერსონალის მართვა დამყარებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე. სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოს პედაგოგიური საბჭოს და კათედრების მუშაობა. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის

თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით გათვალისწინებულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. შინაგანაწესის თანახმად, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლას დასაქმებულის მიმართ დადგენილი აქვს წახალისების სხვადასხვა ფორმის გამოყენება (მიმდინარე ეტაპისთვის, ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე, სკოლა იყენებს სიგელებს). გარდა ამისა, სკოლა რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლეთა მიღწევების და განხორციელებული აქტივობების შესახებ. პედაგოგთა საქმიანობა ითვალისწინებს კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარებას. საუკეთესო პრაქტიკის შემთხვევები ვრცელდება სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“;
- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- კონკურსის გამოცხადების წესი და პროცედურების დოკუმენტი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- საგნობრივი კათედრის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის/ჯგუფების შექმნისა და მათი დებულების დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული განვითარების მექანიზმებს, განსაზღვრულია აღნიშნული მექანიზმების განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით სკოლაში შექმნილია პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა დებულება, რომლის მთავარი მიზანია მასწავლებლების პროფესიული საჭიროების განსაზღვრა, მათი საქმიანობის შეფასებისა და განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა. მხადამჭერი ჯგუფის მუშაობა ეხმარება სასკოლო საზოგადოებას გაიაზროს და სტრატეგიულ მიმართულებებად აქციოს გამოვლენილი საჭიროებები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისა და პერსონალის მუშაობის

გასაუმჯობესებლად. ადმინისტრაციის წარმომადგენლებს კი აფასებს უშუალო ხელმძღვანელი იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც დაკისრებული აქვს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს/სტრატეგიებს და აძლევს პედაგოგებს განმავითარებელ უკუკავშირს. ჯგუფი წელიწადში ორჯერ აფასებს შესრულებულ სამუშაოს, გამოკვეთს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, შემდეგ კი შედეგების ანალიზის საფუძველზე წლის ბოლოს ერთობლივად გეგმავენ მიზნობრივი განვითარების პროცესს. დაგეგმვა-განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან აქტივობებს, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებულ სერვისებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კარიერული წინსვლის პროცესებს მასწავლებლებთან მიმართებით არეგულირებს “მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა”, რომლის თანახმად სკოლამ უნდა შექმნას საკუთარი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რაც სსიპ ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლის მიერ გაწერილია პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში. მხარდამჭერი ჯგუფი შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებთან ერთად იკრიბება პერიოდულად, ისმენს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასავითარებლად გეგმავს პროფესიულ განვითარებას, რომლის განხორციელების პროცესშიც სკოლა მხარდამჭერის როლს ასრულებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სხვა პერსონალისათვის წლის განმავლობაში იგეგმება სხვადასხვა ტრენინგები, მაგალითად: სპორტის მასწავლებელმა გაიარა - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ დაგეგმილ ტრენინგი - საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების სწავლებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების საკითხებზე, სკოლის ექიმმა - საქართველოს სკოლის ექიმთა ასოციაციის მიერ განხორციელებული ტრენინგი - საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექიმთა უწყვეტი პროფესიული განათლება, სკოლის ბუღალტერმა - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენინგი. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლის პერსონალის კარიერული წინსვლა მიზნად ისახავს მათთვის სკოლისადმი მიკუთვნებულობის ზრდას, პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავება/გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმები განსაზღვრულია სკოლის მიერ შექმნილ დოკუმენტში - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ახალი თანამშრომლის კოლექტივთან ადაპტაციისა

და სოციალიზაციის მექანიზმები. აღნიშნული წესის თანახმად, ადაპტაციის პროცესს სკოლა იწყებს სკოლაში სამუშაოს დაწყებამდე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური რესურსი ისეა მოწყობილი, რომ იძლევა საშუალებას დასაქმებულმა წარმატებით გაიაროს ადაპტაციის ეტაპები. ზოგადად, სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების რესურსით. სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტები სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ (მაგალითად, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი), რაც აძლევს სკოლას საშუალებას, აქტიურად მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობის, ისე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შემოშავებული აქვს სკოლის შინაგანაწესი, რომლის თანახმად განსაზღვრულია პერსონალის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. სკოლის განმარტებით, ყველა ინიციატივა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლის პერსონალს განვითარდეს, წახალისებულია სკოლის მიერ. წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. სკოლაში მრავალფეროვანი სასკოლო პროექტები ხორციელდება, რომლის ინიციატორები ხშირად სწორედ მასწავლებლები არიან. ასეთი აქტივობები არა მარტო მოსწავლეებისთვის, არამედ პედაგოგებისთვისაც განვითარების საშუალებაა. სკოლა მხარს უჭერს თანამშრომელთა ინოვაციურ წამოწყებებს და ახდენს მათ წახალისებას. სკოლის მხრიდან წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივებიც, რომელიც მოტივაციას აძლევს მასწავლებელს. სკოლა კანონმდებლობის ფარგლებში ხელს უწყობს მასწავლებლის ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც მიზანმიმართულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებისაკენ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- „სსიპ ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების წესი“;
- „სსიპ ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“ სკოლის დირექტორის ბრძანება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის უზრუნველსაყოფად სკოლამ დაამტკიცა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც მიმართულია, ერთი მხრივ, სასწავლო პროცესის დაგეგმვისაგან და, მეორე მხრივ, ხელს უწყობს ამ პროცესის განხორციელებას, მათ შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისაგან მიმართული ღონისძიებების განსაზღვრას. დაწესებულების შიდა შეფასების სისტემა ეფექტურად ხორციელდება, რასაც ადასტურებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შედგენილი დოკუმენტაცია. შიდა ხარისხის მართვის სისტემა მოიცავს ოთხ ეტაპს: ა) დაგეგმე -ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განისაზღვრება შესასრულებელი სამუშაო, განხორციელების პერიოდი და პასუხისმგებელი პირები;ბ) განახორციელე - განახორციელოს დაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით; გ) შეამოწმე - ანალიზისათვის შეამოწმოს სხვადასხვა აქტივობები, როგორებიცაა სკოლაში მიმდინარე პროცესების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფილოსოფიასთან შესაბამისობის დადგენა, შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზი, წლიური გამოცდების შედეგების ანალიზი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი, სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების კვლევა-გამოვლენა-ანალიზი-შეფასება, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კურიკულუმის არსებობის შემოწმება, მატერიალური ბაზისა და სასწავლო რესურსების შემოწმება, საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო ადამიანური რესურსების შემოწმება, მოსწავლეთა მხარდაჭერი პროგრამების/აქტივობების ეფექტურობის ანალიზი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა შედეგების ანალიზი და ა.შ. დ) განავითარე - სკოლამ უნდა განსაზღვროს ნაკლოვანების მიზეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები. ნაკლოვანების არარსებობის შემთხვევაში, დასახოს არსებული ვითარების განვითარების მექანიზმები. რაც შეეხება მეორე ტიპის შეფასებას გარე შეფასების სისტემა - იგი მოიცავს როგორც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგს, ასევე, ყოველ 9 წელიწადში ერთხელ ავტორიზაციის მიზნით შესაბამისი ექსპერტების მიერ სკოლის ფილოსოფიის, სასკოლო კურიკულუმების, მატერიალური და ადამიანური რესურსების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენას. ზოგადად, დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების (კათედრები, პედაგოგიური საბჭო) მუშაობის ამსახველი მტკიცებულებების განხილვისას, იკვეთება, რომ ინსტიტუციური განვითარება სკოლის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების იდენტიფიცირებას. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში; სასკოლო კურიკულუმში, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებში, სკოლის შინაგანაწესში. სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს აგრეთვე იმ საკანონმდებლო რეგულაციებით, სადაც აღწერილია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების ფუნქციები. თანამდებობრივ ინსტრუქციებში კი იდენტიფიცირებული და აღწერილია თითოეული სტრუქტურული ერთეულის შესასრულებელი ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას შექმნილი აქვს სკოლაში განცხადებებისა და გასაჩივრების წესი. (დამტკიცებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით). დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების/ საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურებს. განცხადების/საჩივრის შემოტანა შეუძლია მოსწავლეს, მშობელს, სკოლაში დასაქმებულ პერსონალს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი პროცესის საფეხურები და წარმოების ვადები. დოკუმენტის მე-2 თავია საჩივრის განხილვის წესი დისციპლინური წარმოებისას, მე-3 თავი მოიცავს - მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრებას, მე-4 თავი მოიცავს - მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლის საჩივრის განხილვის პროცედურებს. ასევე, სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებიც მოიცავს გასაჩივრების პუნქტს: ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), სადაც დეტალურად არის გაწერილი მხარეთა (მშობელი, სკოლა) უფლება მოვალეობები. მე-5 მუხლია მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია. მე-6 მუხლი მოიცავს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმას და პრინციპებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები აღწერილია შინაგანაწესში, შესაბამის მუხლში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა,
- შინაგანაწესი,
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მშბლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები ციკლური პროცესია. დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკაა კვლევაზე დაფუძნებული, შეჯერებული გადაწყვეტილებების მიღება. მრავალფეროვანი, სხვადასხვა შინაარსის კითხვარები გამოიყენება პროცესების შეფასების და დახვეწისთვის. მართვის პროცესებთან დაკავშირებული სკოლაში შედგენილი გარკვეული დოკუმენტები საჯაროა და მათი გაცნობის ვალდებულება



აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ყველა თანამშრომელს, მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომლის თანახმად განსაზღვრულია მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები. მშობელთან კომუნიკაცია და მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება მშობელთა კრებებზე კანონმდებლობით დადგენილი კონფიდენციალურობის დაცვით, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, მშობელთა ინდივიდუალური შეხვედრებით, ელექტრონული ფოსტის, ტელეფონის, სოციალური ქსელის მეშვეობით. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რითაც დადგენილია უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების პროცედურები. ყოველწლიურად ტარდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვები. აღნიშნული გამოკითხვები ხელს უწყობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების გამოვლენას და განსახორციელებელი ღონისძიებების დადგენას. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, საიდანაც სასკოლო საზოგადოება ეცნობა სიახლეებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ამავე მიზნით იყენებს სოციალურ ქსელს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში კანონმდებლობითაა განსაზღვრული კოლეგიალური ორგანოების სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მრჩეველთა საბჭოს არსებობა, რომელიც დაკომპლექტებულია მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შექმნილი სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის წესი);
- თვითმმართველობის დებულება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- სკოლის ვებ.გვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლის ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსი ემსახურება მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოები დასაცავად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, უსაფრთხოების პოლიტიკა, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა; განსაზღვრულია საგანგებო შტაბის შემადგენლობა. გაფორმებულია ხელშეკრულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დარაჯის პოზიციაზე სამ პირთან. სკოლას ჰყავს ოთხი მანდატური, ექიმი. შემუშავებულია კლასის მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, საევაკუაციო გეგმა. სკოლაში მანდატურის სამსახურის მხრიდან უზრუნველყოფილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შიდა პერიმეტრზე განთავსებულია 32 ვიდეო კამერა, გარე პერიმეტრზე - 3. თუმცა, ამ ვიდეოკამერებით ვერ კონტროლდება სკოლის ეზოს მთლიანი პერიმეტრი. ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა - სკოლის ეზოში, გარე პერიმეტრზე, კერძოდ, შესასვლელ ჭიშკრებთან უზრუნველყოს ვიდეო-კამერების დაყენება, ნებისმიერი საფრთხის შემცველი ქმედების პრევენციისა და მყისიერი რეაგირებისათვის.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შენობის დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლის დარაჯი, რომელიც სპეციალურ ჟურნალში აღრიცხავს სკოლაში შემსვლელ-გამსვლელ პირებს. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. სკოლიდან მოსწავლის გასვლა სასწავლო პროცესის დროს დაშვებულია საშვით, რაც თანხმდება მშობელთან.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, მოსწავლეთა გადანაწილება ხდება შემდეგი პრინციპით. სკოლას აქვს ორი ფლიგელი, რომელიც იზოლირებულია ძირითადი კორპუსისაგან და სადაც განთავსებული არიან I-IV კლასის მოსწავლეები, ხოლო დანარჩენი მოსწავლეები - ე.წ. ძირითად კორპუსში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორია სრულად შემოღობილია. სკოლას აქვს 2 (ორი) გასასვლელი, უზრუნველყოფილია გადასასვლელით, რათა სწრაფად მოძრავმა მანქანებმა სვლა შეანელონ, სკოლის ტერიტორიაზე მანქანების შესვლა შეზღუდულია, თანამშრომლებისთვის მოწყობილია საპარკინგე სივრცე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა. სკოლაში შექმნილია საგანგებო რეაგირების შტაბი და განაწილებულია ფუნქციები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ყველა სართულზე, კედელზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი.



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭოს ოქმში აღნიშნულია, რომ სკოლამ მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის სსიპ „112“-ის ცხელი ხაზის ნომრის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური ცენტრის და მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს ცხელი ხაზის ნომრებს, ასევე აღნიშნული უწყების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას. ეს მონაცემები გამოკრულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საინფორმაციო დაფაზე. სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს კვალიფიკაციის შესაბამისი ექიმი პედიატრი, შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. ექიმი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, სადაც გათვალისწინებულია სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების პროტოკოლი. თუმცა, სკოლას მიეცა რჩევა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 1.03.2022წ. წარმოდგენილი რეგულაციების საფუძველზე, განახორციელოს ექთნის საშტატო ერთეულის დამატება. სკოლის არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სკოლას მიეცა რჩევა, იზრუნოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის დასაქმებაზე, შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან დაკავშირებით; ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან დადებული ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრულია მდგრადობის შემოწმების საფასური. აგრეთვე წარმოადგინა წერილი სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გამოყოფის თხოვნის შესახებ. სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის დასკვნა, რომელშიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების ვადა განსაზღვრულია 2024 წლის 20 სექტემბერი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში უზრუნველყოს შენობა ნაგებობების მდგრადობის დასკვნის მოპოვება შესაბამის აკრედიტებულ ორგანოსგან 2024 წლის 20 სექტემბრამდე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, ასევე, მიღებული აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ამ ეტაპზე შედგენილია ნახაზი და ხარჯთაღრიცხვა. სკოლის შენობა-ნაგებობის



დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების საფუძველზე დაფიქსირებული დარღვევების აღმოფხვრის მიზნით, შპს „ელ +“-მა შეადგინა სახანძრო სიგნალიზაციისა და ადამიანთა ევაკუაციის სისტემის (ავარიული განათება) პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რომლის ღირებულებაც შეადგენს 115,400.49 ლარს. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას ჩაუტარდა ექსპერტიზა, რის საფუძველზეც გაიცა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ დადგინდა სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების, ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის, ხანძრის შესახებ გახმოვანება-ტექნიკური შეტყობინების, ადამიანთა ევაკუაციის, მართვისა და ავარიული განათების პროექტების შესაბამისობა, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან. ვინაიდან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას არ აქვს ფინანსური რესურსი უზრუნველყოს ზემოთ ჩამოთვლილი ხარვეზების აღმოფხვრა, სკოლამ დახმარებისთვის მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეციერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც დასკვნაში მოცემული დარღვევების აღმოფხვრა იგეგმება 2024 წლის ოქტომბრამდე.

სკოლამ, არგუმენტირებულ დასაბუთებასთან ერთად, წარმოადგინა დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს კვალიფიკაციის შესაბამისი ექიმი პედიატრი, შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. ექიმი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, სადაც გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი დახმარების პროტოკოლი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური კანონმდებლობის შესაბამისად. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შედგენილი დოკუმენტაცია (მათ შორის, შინაგანაწესი) თავისი შინაარსით, მოიცავს წესრიგის დაცვის გაწერულ მექანიზმებს, რომლებიც საჯაროა და ცნობილია სასკოლო



საზოგადოებისთვის. სკოლის პერსონალი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით“. ასევე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხელშეწყობა სკოლის მრჩეველთა საბჭო. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მანდატურის სამსახურის მხრიდან უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების ჩატარების პროცედურა საჯარო სკოლებისათვის განსაზღვრულია კანონმდებლობით და ხორციელდება დეტექტორით. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას. სკოლამ შეიმუშავა და პრაქტიკაში დანერგა საშვთა სისტემა. სკოლის კარს აკონტროლებს დარაჯი, რომელიც, აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალური საშვით და ჟურნალში გატარების შემდეგ უშვებს სტუმარს სკოლაში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილ დარღვევაზე ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით დადგენილი რეაგირების ღონისძიებები. გარდა დისციპლინური სახდელებისა, რომლებიც ისახება ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო ბაზაში, ასევე მანდატურის სამსახურის, მართლწესრიგის ოფიცრებისა, სკოლის ფსიქოლოგებისა და დამრიგებლების მიერ ტარდება პრევენციული ღონისძიებები. სასწავლო წლის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის აქტივობები, ისეთ თემებზე, როგორიცაა: ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ; დისკრიმინაციის წინააღმდეგ; ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე და სხვ. (პროექტები ატვირთულია სკოლის სოციალურ ქსელში).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის შინაგანაწესის, სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის, ახალი თანამშრომლისა და მოსწავლის ადაპტაციის წესის, სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილის თუ, სადამრიგებლო პროგრამების მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. სკოლას ჰყავს 2 ფსიქოლოგი, რომლებიც საჭიროების გამოვლენისთანავე უზრუნველყოფენ მოსწავლისათვის ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდებას. სკოლის ფსიქოლოგები, ასევე, მუშაობენ მასწავლებლებთან, რათა მოხდეს კოლექტივის ცნობიერების ამაღლება ბავშვთა საჭიროებების ამოცნობასა და მათზე ჯეროვნად რეაგირებაში. გარდა კლასის დამრიგებლისა კლასში შემსვლელი მასწავლებელი ყველა საგნობრივ კონტექსტში ფოკუსირებულია ემოციური, სოციალური უნარების და არა მხოლოდ აკადემიური უნარების განვითარებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



5. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური პირობებს დაცვის მექანიზმი. სკოლას სამტატო განრიგით ჰყავს 5 დამლაგებელი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე დასუფთავების მონიტორინგს ახდენს სკოლის ექიმი. დასუფთავების მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღე და დასტურდება დოკუმენტურად ცხრილით, ანგარიშით. პერიოდულად ხდება მწერებისა და მღრღნელების წინააღმდეგ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შენობის პროფილაქტიკური დამუშავების ორგანიზება, რისთვისაც სადეზინფექციო სამუშაოების მწარმოებელ სამსახურთან გვაქვს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება. საკლასო ოთახების და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახების დალაგება ხორციელდება მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, გაღებული ფანჯრების და ფრამუგების მდგომარეობაში. რადგან სკოლა ორცვლიანია, ოთახები ლაგდება დღეში ორჯერ. სანიტარულ-ტექნიკური აღჭურვილობის დასუფთავება ხდება ყოველდღიურად, ეპიდსიტუაციის მიუხედავად. უნიტაზის დასაჯდომის, ჩასარეცხი ავზისა და კარების სახელოვრები ირეცხება ცხელი წყლით და სარეცხი საშუალებით. ნიჟარები, უნიტაზები ირეცხება ჯაგრისით და სარეცხი-სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით, მათ ეტიკეტზე მითითებული რეკომენდაციების შესაბამისად. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განცალკევებით ინახება სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოყენებულ, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი, სათანადოდ მარკირებული ინვენტარი, რომელიც ექვემდებარება დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ. ასევე, სკოლის სათავსების დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმიკა და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ კარადაში, პირვანდელი შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ყველა სართულზე არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე გოგონების და ცალკე ვაჟებისთვის. პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის არსებობს სანიტარული კვანძი დამოუკიდებელი შესასვლელით. პირველ სართულზე განთავსებულია სსსმ პირთათვის ადაპტირებული სველი წერტილები. სველი სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. კონკრეტულად: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი დახურული თავით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვის, დამუშავების



წესები და პროცედურები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალსა და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულია პერსონალური ინფორმაციის გაცემის პირობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები მოიცავს ინფორმაციის დაცვის პრინციპებს. დოკუმენტით განსაზღვრულია დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი ელექტრონული პროგრამის (teams) გამოყენების შემთხვევაში, მოსწავლის მონაცემების დაცვა ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას, მონაცემების დაცვა ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის გამოყენებისას, მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას, მონაცემების დაცვა ვაკანსიების პორტალზე სკოლის გვერდის მართვისას. შემუშავებული წესის თანახმად, განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილებები, მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდების და მონიტორინგის განხორციელების წესი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დოკუმენტის გაცნობას სკოლაში დასაქმებული პირების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისათვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ყველა დაინტერესებულ პირს განუმარტავს პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპებს. ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (საქმისმწარმოებელი). ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურ გვერდზე ხშირად იდება მოსწავლეების ფოტოები, თუმცა ამის შესახებ მშობლებისგან სკოლას თანხმობა მიღებული აქვს. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა, იქნება ეს მატერიალური თუ ელექტრონული სახით, ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. ასევე ხდება მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას. ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით, სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებას. პირადი საქმე ინახება დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (საქმისმწარმოებელი). ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურ საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს,

დირექტორის მოადგილეებს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. სკოლის შიდა სამართლებრივი აქტებით განისაზღვრება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირებას. მაგალითად, დარაჯების მუშაობა (დაკვირვების რეჟიმში), მათი დახმარება, მორიგეობა სართულებზე, დერეფნებში, ეზოში, კვების ბლოკში და ა.შ. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხები, რომელიც იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. საქმეებზე).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ;
- შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დოკუმენტაცია;
- „სსიპ ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პაუსხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;
- სკოლის შინაგანაწესი;
- საგანგებო მართვის გეგმა;
- „სსიპ - ქალაქ თბილისის 126 საჯარო სკოლაში საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“;



- სსიპ ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 5 მაისის N6 სხდომაზე დამტკიცებული „სსიპ - ქალაქ თბილისის 126 საჯარო სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა“;
- დირექტორის მ. შ. მიერ 2023 წლის 1 ივნისის სსიპ ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება N2-315 ;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- დირექტორის მ. შ. მიერ 2023 წლის 2 ივნისის სსიპ ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება N2-322;
- მრჩეველთა საჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის ოქმი N2 ;
- ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილ პირების განსაზღვრის შესახებ ბრძანება N2-370;
- ფსიქოლოგის ანგარიში;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას



1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას გადაეცა უვადოდ, კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის სასწავლო ფართი წარადგენს 2463,143 კვ.მეტრს. ხოლო კლასების რაოდენობა წარმოდგენილია 54 საკლასო ოთახით. ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მაასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, STEM ლაბორატორია, 2 მცირე ზომის ოთახი, სადაც განთავსებულია ფიზიკა - ქიმიისა და ბიოლოგიის თვალსაჩინოებები და ლაბორატორიული აღჭურვილობა. **თუმცა, ლაბორატორიაში არ არის ამწოვი კარადა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ლაბორატორია ამწოვი მექანიზმით.** სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის რესურსოთახი, ყველა კათედრას აქვს სამუშაო ოთახი, ღია სპორტული მოედანი. სკოლას არა აქვს სპორტული დარბაზი, თუმცა შენობის 2 სივრცეში (1 ყოფილი ბუფეტისა და 1 დიდი ზომის, 60 კვ.მ. ოთახში) ტარდება სპორტის გაკვეთილები და განთავსებულია სპორტული ინვენტარი. შენობა დაფარულია ინტერნეტით. სკოლაში ყველა სართულზე განლაგებულია სველი წერტილები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. ცალკეა 4 სველი წერტილი მასწავლებლებისთვის და 2 ადაპტირებული სველი წერტილი შშმ მოსწავლისთვის.

სკოლამ, არგუმენტირებულ დასაბუთებასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.1 ინდიკატორის მიმართ, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 16.09.2024წ.- 16.09.2025წ. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის სრულად ადაპტირებული შშმ მოსწავლეებისათვის. სკოლის შესასვლელში არ არის პანდუსი, სკოლას არ აქვს ლიფტი, ან რაიმე მექანიზმი იმისათვის, რომ საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, რომელიც განთავსებულია სართულებზე (გარდა პირველი სართულისა) ხელმისაწვდომი იყოს შშმ მოსწავლისთვის. სხვა მხრივ, სკოლის ინფრასტრუქტურა, სხვადასხვა სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, ამის შესაძლებლობას მათ აძლევს სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, (მოიცავს ლაბორატორიების, სპორტული ინფრასტრუქტურის, რესურს ოთახის გამოყენების წესებს), ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი, პერსონალსა და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. სკოლის პერსონალი გადანაწილებულია სხვადასხვა სამუშაო სივრცეში და იყენებენ სკოლის ინტერნეტსა და სკოლის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

სკოლამ, არგუმენტირებულ დასაბუთებასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.1 ინდიკატორის მიმართ, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 16.09.2024წ.-16.09.2026წ. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკაში განთავსებულია როგორც გრიფინიჭებული სახელმძღვანელოები, ასევე, მხატვრული, სამეცნიერო ლიტერატურა, უცხოურენოვანი წიგნები. ყველა წიგნი დამუშავებულია ბიბლიოთეკური წესით და მხატვრული და მეთოდური ლიტერატურის რაოდენობა შეადგენს 8665 ცალს. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება), სადაც გაწერილია ბიბლიოთეკის მიზნები და ამოცანები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვისა და დაცვის წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სხვ. საქმეებზე).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის გამოყოფილია სივრცე, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა რესურსით და რომლის განახლებაც ხდება საჭიროებიდან გამომდინარე. შშმ პირებისათვის პირველ სართულზე არის ადაპტირებული საპირფარეშო გოგონებისა და ვაჟებისათვის. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არცერთი შესასვლელიდან არ არის პანდუსი, თუმცა უკანა ეზოს შემოსასვლელი მიწის პირზეა და იქ შესაძლებელია ეტლით მოსარგებლე პირთათვის პანდუსის მოწყობა. ბიბლიოთეკა განთავსებულია პირველ სართულზე, ხოლო ისტ-ის საგაკვეთილო პროცესისათვის იმ საკლასო ოთახში, სადაც ეტლით მოსარგებლე მოსწავლეა, შეყვანილია საკაბელო ინტერნეტი.

სკოლამ, არგუმენტირებულ დასაბუთებასთან ერთად, წარმოადგინა სურათები, რომელზეც ჩანს, რომ დამონტაჟებულია გარე შესასვლელი პანდუსი, ამიტომ ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. შენობის დერეფნებისა და საკლასო ოთახების კედლებზე გამოკრულია მოსწავლეთა ნაშრომები. სკოლა დაყოფილია ფლიგელებად, აქვს ვრცელი და ნათელი დერეფნები, რაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა აძლევს საშუალებას მიანიჭოს მეტი ფუნქციური დატვირთვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია II და III სართულის სივრცეები, სადაც დიდ შესვენებაზე მოსწავლეები იკრიბებიან და სხვადასხვა სამაგიდო აქტივობებით თამაშობენ (ჭადრაკი, შაში, ფაზლი), მსგავსი ფუნქციური დატვირთვა აქვს III სართულის დერეფნებსაც, რომელთა კედლებიც თვითონვე მოხატეს ერთ-ერთი პროექტის („დავიცვათ დედამიწა ჩვენი ხელებით“, ქართულ-იტალიური მეგობრობა) ფარგლებში. სკოლაში ფუნქციონირებს STEM ლაბორატორია, რომლის წევრები კონსულტირებას უწევენ სხვა სკოლის დაინტერესებულ მოსწავლეებს.
- ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შიდა აზომვითი ნახაზი;
- ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი; 10 დეკემბრის ოქმი
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სკოლის შინაგანაწესი,
- სასკოლო სასწავლო გეგმა,
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;
- პერსონალსა და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები;
- ინვენტარიზაციის განხორციელების დოკუმენტაცია.
- სურათები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს მასწავლებელსა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის გამარტივებულ კომუნიკაციას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მათი შვილების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ. სწავლა-სწავლების პროცესის მაქსიმალური გაციფრულება სსიპ ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტს წარმოადგენს. მასწავლებლები და საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები ერთმანეთთან თანამშრომლობენ და აქტიურად უზიარებენ გამოცდილებას/პოზიტიურ პრაქტიკას სხვადასხვა



ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსებისა და თამაშების საგაკვეთილო პროცესში ინტერგრირების შესახებ. საგნობრივი კათედრები აქტიურად იყენებენ ისეთ ელ.რესურსებს, როგორიცაა: MS Office 365-ის აპლიკაციები, <https://school.emis.ge/>; <https://math.ge/>; <https://scratch.mit.edu/>; <https://education.minecraft.net/en-us>; <https://code.org/>; <https://www.codemonkey.com/>; <https://codecombat.com/>; <https://www.ck12.org/student/> <https://phet.colorado.edu/>; QuizletByteLearn.com; <https://kahoot.com/schools-u/>. მშობლებთან და კოლეგებს შორის მარტივი კომუნიკაციისთვის ასევე იყენებენ Teams, Viber და Facebook ჯგუფებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურად აახლებს სკოლის სოც.ქსელს, ინფორმაციისა და საინტერესო აქტივობების გაზიარების მიზნით. ასევე. იყენებს One Drive-ს საქაღალდეთა ღრუბლოვან სისტემას მნიშვნელოვანი ინფორმაციის შენახვისთვის, გაზიარებისთვის და საერთო დოკუმენტებზე ერთობლივი მუშაობისთვის და MS Forms-ს მონაცემების შეგროვებისა და დამუშავებისთვის. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ხშირად ტარდება ტრენინგები ფიზიკურ და ონლაინ ფორმატში, ეწყობა მასწავლებელთა კონფერენციები სწავლა-სწავლების ახალი მიდგომების, რესურსებისა და სწავლების ეფექტური სტრატეგიების ერთმანეთისთვის გასაცნობად. სკოლაში აქტიურად ხორციელდება სასკოლო პროექტები, სადაც აქტიურადაა ჩართული თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტების, არაფორმალური განათლების ცენტრებისა და სხვადასხვა საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ პროექტებში, კონკურსებში, სასწავლო პროგრამებში, ვორქშოფებსა და სემინარებში. სკოლაში განხორციელდა პროექტი აიტი აკადემიის მიერ, რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა შეისწავლეს ფოტოშოპის და ილუსტრატორის პროგრამა. სკოლა მომავალშიც გეგმავს მსგავსი ღონისძიებების განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა განაწილებულია შემდეგნაირად: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 1 კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ლეპტოპებით და პროექტორით (24 ცალი ლეპტოპი, 4 პერსონალური კომპიუტერი, 1 - პროექტორი). აღნიშნულ ლაბორატორიაში სრულფასოვნად მიმდინარეობს კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები მოსწავლეთათვის. გაკვეთილების შემდეგაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილია ადმინისტრაცია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, რესურსთა ხის სსსმ მოსწავლეებისათვის. სამასწავლებლოში განთავსებული კომპიუტერებთან მასწავლებლები მუშაობენ, ქმნიან ელ.საგანმანათლებლო რესურსებს, აწარმოებენ ელექტრონულ ჟურნალს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. საგნობრივი კათედრებისთვის კი გამოყოფილია ლეპტოპები და პროექტორი, რომლებიც მასწავლებლებს წინასწარ გაწერილი განრიგის მიხედვით შეაქვთ კლასებში და უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში იყენებენ. ყველა სადამრიგებლო კლასს და დამრიგებელს აქვს თავისი ლეპტოპი, სადაც

ჩატვირთულია სადამრიგებლო პორტფოლიო. სკოლის კომპიუტერული ტექნიკა სრულად უზრუნველყოფს ადმინისტრაციის ფუნქციონირებასა და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროექტი „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD), რომელიც მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება იძლევა საშუალებას დაინერგოს სკოლებში STEM ექსტრაკურიკულური პროგრამები. სსიპ ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლა აღნიშნულ პროგრამაში წარმატებით ჩაერთო, სკოლაში მოეწყო STEM კლუბის თანამედროვე სამუშაო სივრცე, რომელიც აღიჭურვა შესაბამისი რესურსებით, ავეჯით, რაც საკლუბო მუშაობებისა და სკოლებს შორის ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 31 მაისის №2-313 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- Eschool; Eflow;
- 2023 წლის 8 დეკემბრის სამეურვეო წაბჭოს სხდომის ოქმი N16 -ანგარიში სასწავლო პროცესისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

- სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 31 მაისის №2-313 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია შემოსული, გასული, შიდა დოკუმენტაცია; ბრძანებების მომზადების, გაფორმების, გამოცემის და მათი აღრიცხვის წესი; ოქმის, წერილის, ცნობის გაფორმების წესი; ხელშეკრულების და სხვა დოკუმენტაციის აღრიცხვის წესი და ა.შ. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow). სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. მისთვის მინიჭებული მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით იგი უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულ მუშაობას. კერძოდ: ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, აგრეთვე, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას; იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. წერილებსა და სამსახურეობრივ ბარათებს სარეგისტრაციო ნომრები და თარიღები ავტომატურად ენიჭება Eflow-ში რეგისტრაციის მიხედვით. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლას ასევე აქვს სარეგისტრაციო 3 სახის ჟურნალი: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს როგორც სისტემის შიდა (Eflow, eSchool-ის ერთიანი ბაზა), ისე გარე საკომუნიკაციო საშუალებებს (მაგ. Google). eSchool-ს სისტემის მეშვეობით, ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის ასახვა. სისტემა ასევე ასახავს სკოლის შესახებ ძირითად ინფორმაციას, აგრეთვე სკოლაში დასაქმებული პერსონალის მონაცემებს, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემებსა და საკონტაქტო ინფორმაციებს. eSchool-ის ბაზაში არის ასევე ასახული სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში ბაზაში ხდება სამეურვეო საბჭოს წევრების ცვლილება, ასევე საშტატო განრიგის პროექტის შეთანხმება. ზოგიერთი ინფორმაცია და დოკუმენტი მიიღება აგრეთვე სკოლის ელექტრონულ

ფოსტაზე tbilisi126@mes.gov.ge. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხდება ბმულზე registration.emis.ge სკოლას ასევე აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია. ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება დარეგისტრირებულია eauction.ge-ზე, სადაც სკოლა საჭიროების შემთხვევაში, აცხადებს აუქციონს ფართის იჯარით სარგებლობის გაცემის მიზნით. მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. eSchool.emis.ge-ზე სკოლას აქვს საკუთარი პროფილი. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. აქვეა განთავსებული მასწავლებლების, მოსწავლეები, სახელმძღვანელოების ბაზები. სსსმ მოსწავლეების მონაცემები ასახულია და ატვირთულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები და მიმაგრებულია სპეცმასწავლებელი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც არის სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ სხვადასხვა უწყებებთან. მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს და აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს აწვდის ინფორმაციას ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ყოველწიურად წარუდგენს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშს სკოლის მიერ განხორციელებული ინკლუზიური სწავლების შესახებ. ხოლო, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მოთხოვნის შემთხვევაში, საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან შემოსულ წერილებზე რეაგირება ხდება მათში მითითებულ ვადებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანებით დამტკიცებული საქმიანობების წესი;

- საქმისმწარმოებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- Eschool, Eflow;
- 2023 წლის 8 დეკემბრის სამეურვეო წაბჭოს სხდომის ოქმი N16 -ანგარიში სასწავლო პროცესისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებ-გვერდს skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია სკოლის გვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/165?schoolName>. სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი (FACEBOOK), სადაც მუდმივად თავსდება ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების (სასწავლო პროექტების, კონკურსების,



ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადების და სხვა) შესახებ. ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა ე.წ. დახურული ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის აღსანიშნავია დახურული ჯგუფი დირექტორსა და ე.წ. „სპიკერ მშობლებს“ შორის (კლასების მიხედვით ირჩევენ მშობლები საკუთარ წარმომადგენელს). რაც შეეხება სკოლის ვებგვერდს და სოციალური ქსელს - ეს სივრცე არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ინფორმაცია სოციალურ ქსელში თავსდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მშობლებს მიეწოდება ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. ასევე, ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში აქტიურადაა დანერგილი უშუალო კომუნიკაციის პრაქტიკა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. პერიოდულად იმართება საინფორმაციო სახის შეხვედრები საშუალო საფეხური მოსწავლეებთან, აგრეთვე, სკოლის დირექციის უშუალო მონაწილეობით იმართება შეხვედრები მშობლებთან. ვადებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს განსაზღვრული ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვებ - გვერდსა და სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსების საფუძვლად იყენებს სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული დოკუმენტაციის შინაარსს (მაგ. სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები, პროექტების გეგმები და ა.შ.). სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება ხდება მშობლის თანხმობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სოციალურ ქსელში სკოლის აქტივობების შესახებ ვიზიტორების ასახული კომენტარების, ელ. ფოსტებზე შემოსული შეტყობინებების შინაარსი, განიხილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასა და პედაგოგიურ კოლექტივში და იგეგმება შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლაში წლებია აქტიურად მუშაობს „სპიკერ მშობელთა კლუბი“. ეს არის დირექტორთან სოციალური ქსელით შექმნილი ჯგუფი (მესენჯერში), სადაც გაერთიანებულია მშობლების მიერ არჩეული თითო კლასიდან თითო წარმომადგენელი. სპიკერებს უშუალო კომუნიკაცია აქვთ მხოლოდ დირექტორთან და წლის განმავლობაში ცვლიან ინფორმაციებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ვებგვერდი <https://skolebi.emis.ge/> რომელზეც განთავსებული ტექსტი სახელმწიფო ენაზეა. დირექტორის 2024 წლის 13 მარტის 1/კ-52 ბრძანებით განსაზღვრულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა სავალდებულო ინფორმაცია: საკონტაქტო ინფორმაცია, სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მასწავლებელთა რაოდენობა, მოსწავლეთა რაოდენობა, სექტორის ენა, სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2024 წლის 13 მარტის 1/კ-52 ბრძანება;
- ვებ - გვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/165?schoolName>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე და კომუნალურ გადასახადებზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ N476 დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ, რომლის მოცულობა განისაზღვრება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობით. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლის ექიმის ხელფასის პროგრამულ დაფინანსებას, აგრეთვე, მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის შესაბამისად დანამატების და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულ დაფინანსებას, რომელიც, თავის მხრივ, სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეების რაოდენობით განისაზღვრება. სკოლის ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვა მიმართულია სტრატეგიული განვითარების მიზნებისთვის. ფინანსების სწორი გამოყენებისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტის გეგმას. სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, მოსწავლეების მშობლები და მოსწავლეთა თვითმართველობა. ბიუჯეტის დაგეგმვა არ არის ერთ დღიანი პროცედურა და მისი დაგეგმვა იწყება 2-3 თვით ადრე. ხდება შემოსავლების განსაზღვრა, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხების, ასევე სხვა სახის შემოსავლების ეკონომიკური საქმიანობიდან. სასწავლო წლის დაწყებისთანავე განისაზღვრება მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა, მტკიცდება საშტატო განრიგი, რის შემდგომაც განისაზღვრება ხელფასებზე გასაწევი თანხა, რაც ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ხარჯვითი ნაწილია. ამის შემდგომ საგნობრივი კათედრებიდან, სსსმ მოსწავლეებისთვის, ექიმის კაბინეტისთვის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერიდან, კანცლარიიდან და ბიბლიოთეკიდან მოგვეწოდება სამსახურეობრივი ბარათებით მომავალი წლისთვის საჭირო შესასყიდი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. ბიუჯეტის გეგმის პროექტს შეიმუშავებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბუღალტერი, რომლის მონიტორინგსაც იმავდროულად ახორციელებს სკოლის დირექტორი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარციზაცია. ასევე, სკოლას აქვს სახელმწიფო შესყიდვების



გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება ხარჯვის განხორციელება, ყოველივე აღნიშნული არის სრულად გამჭვირვალე. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველწლიურად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს დაფინანსების დინამიკის შესწავლას, რისი ანალიზის საფუძველზეც იგეგმება შემდგომი წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტის წლიური ანგარიშის წარდგენა ხდება სამეურვეო საბჭოსთვის ყოველი წლის დასრულებამდე, სადაც ხდება დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დაწვრილებით აღწერა სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2023 წლის 13 ნოემბერის N2-753 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლის მიერ შესყიდვების განხორციელების წესი და შესყიდვების წლიური ფორმა“;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2023 წლის 13 ნოემბრის N2-755 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისის N126 საჯარო სკოლის 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა“.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 8 დეკემბრის N6 სხდომაზე). სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია მოსწავლის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეები, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, კანონთან ზოგადი განათლების შესახებ. მოსწავლის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები ასევე გაწერილია მოსწავლის /მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის სკოლასთან დადებულ ხელშეკრულებაში. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს დოკუმენტი: „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი მოსწავლის და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების, პერსონალის კანონიერი უფლებები, აქვე არის მოცემული სკოლის შინაგანაწესისა და შინაგანაწესის ის მუხლები, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აღნიშნულ საკითხზე და სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების რეგულაციები. ამ დოკუმენტის მიხედვით სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით:
 - სკოლას აქვს შინაგანაწესი;
 - სკოლას ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო;
 - სკოლას ყავს დისციპლინური კომიტეტი;
 - სკოლას ყავს მანდატური/უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;

- სკოლას ჰყავს ექიმი/ექთანი;
- თითოეულ კლასს ყავს დამრიგებელი;
- სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა.

სკოლას ასევე შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება(ბრძანება N2-312, 31.05.2023), რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები. ამ დოკუმენტით სკოლა ვალდებულია მოსწავლე უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალური უსაფრთხო გარემოთი, დაიცვას მოსწავლის უფლებები და ინტერესები, შექმნას ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი გარემო სკოლაში. აქედან გამომდინარე სკოლა შიდა რეგულაციებით ახორციელებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ცენტრალურ ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე. შესაბამისად, სასკოლო საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სასკოლო რეგულაციებს. ძირითადი წესების საჯაროობასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფენ დამრიგებლები, რაც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და შინაგანაწესის შესავალ ნაწილში. სკოლის შინაგანაწესის შექმნის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, თვითმმართველობა), რომელიც განიხილავს შინაგანაწესის პროექტს და წარმოადგენს რეკომენდაციებს, აგრეთვე გაცნობა ხდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზეც. შინაგანაწესის შესავალ ნაწილში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოგვიდგინა ხელშეკრულების ნიმუში მოსწავლე/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან. ხელშეკრულება შემუშავებულია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. მასში ასახულია მოსწავლის და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი;
- ხელშეკრულებები;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- დირექტორის ბრძანება N2-312, 31.05.2023

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; კერძოდ, წარმოდგენილია დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N2-898. 26.12.2023) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელშიც გაწერილია მოსწავლის სტატუსის მოპოვება, მოსწავლის სტატუსის არმქონე პირის სკოლაში ჩარიცხვა და მოსწავლის სტატუსის მოპოვება, უცხოეთში მირებული განათლების აღიარებით მოსწავლის ჩარიცხვა, მობილობის უფლება, მოსწავლის სტატუსის შეჩერება, შეჩერებული სტატუსის აღდგენა მოსწავლის უფლებ და მოვალეობები. პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურა ხორციელდება დადგენილი წესით, კერძოდ მოსწავლე რეგისტრირდება ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მინისტრის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად. ხოლო სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების შესაბამისად, ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. მოსწავლეთა მობილობის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის შინაგანაწესშიც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იცავს და ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, ეროვნული სასწავლო გეგმით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული



„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი“-თ, სასკოლო სასწავლო გეგმით და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად და უზრუნველყოფს მოსწავლის ჩარიცხვას და საფეხურის დაძლევის, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. აღნიშნულს ადასტურებს, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები: დირექტორის ბრძანება მოსწავლის სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და საფეხურის დაძლევის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია აღწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია სკოლის ფოიეს სტენდზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ეწყობა ღია კარის დღე დაინტერესებული პირებისთვის, სიახლეებისა და ცვლილებების შესახებ ინფორმაცია თავსდება სკოლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სხვადასხვა აქტივობების შესახებ, კერძოდ სკოლაში ჩატარებული ღონისძიებები, პროექტები, ღია გაკვეთილები, კონფერენციები და სხვა. ინფორმაციის განახლება ხორციელდება რეგულარულად და არადისკრიმინაციული ხასიათისაა. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისათვის სკოლა ახდენს მშობელთა ინფორმირებას და მათგან იღებს თანხმობას. ინფორმირებისა და თანხმობის რეგულაციები გაწერილია მოსწავლეს/მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის დადებულ ხელშეკრულებაში. სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში, პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს ჩართვის შესაძლებლობა, აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სკოლაში არსებული ნებისმიერი რესურსით, დისკრიმინაციის გარეშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შინაგანაწესი
- ხელშეკრულება მშობლებთან;
- სკოლის ვებგვერდი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, დამრიგებლის ფუნქცია მოვალეობებისა და ვალდებულებების ნაწილში და სკოლის შინაგანაწესშიც. სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ (ბრძანება N2-315, 01.06.2023). მოსწავლის სასკოლო პროცესში ადაპტაციისას ითვალისწინებენ:



- მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს;
- უფროსი და-მმ,ის გამოცდილებას;
- სასკოლო მზაობას;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გამოცდილებას;
- თვითმომსახურების უნარ-ჩვევებს;
- ენობრივ ბარიერსა და კულტურულ განსხვავებულობას;

ადაპტაციის პროცესში ჩართულია დამრიგებელი, მშობელი, სკოლის ფსიქოლოგი. სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან პირველივე დღეს ხდება სასკოლო გარემოს დათვალიერება-გაცნობა, მოსწავლისთვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების მიწოდება.

დოკუმენტში გაწერილია დეზადაპტაციის ნიშნები, რომელთა იდენტიფიცირებისას ხდება მშობლისა და სკოლის ფსიქოლოგის დაუყონებლივი ინფორმირება და პროცესში ჩართვა. დოკუმენტში ასევე გაწერილია წარმატებული ადაპტაციის ნიშნები, რომლებიც ასევე ეცნობება მშობელს.

გაწერილია პირველკლასელთა და სსსმ მოსწავლის ადაპტაციის პირობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პირველკლასელთა მიღებას და მათ ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. პირველ კლასში ჩარიცხვის შემდეგ დამრიგებლები, სხვადასხვა აქტივობებით, მაგალითად სკოლის დათვალიერება და გაცნობა, საუბრებით სხვადასხვა თემაზე, წესების ერთობლივად შემუშავებისა და სხვა გზით სწავლის დაწყების მომენტიდან იწყებენ მოსწავლეთა ადაპტაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლეებს უტარდებათ დამატებითი გაკვეთილები. მიეწოდებათ უკუკავშირი, საჭიროების შემთხვევაში, ხდება მოსწავლეთა კონსულტირება. სკოლის ყველა მოსწავლეს შეუძლია კონსულტაცია მიიღოს საგნის მასწავლებლისაგან აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. სემესტრის მანძილზე ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზისას გამოვლენილი მიგნებების, ეფექტური უკუკავშირის, განმავითარებელი კომენტარებისა და რეკომენდაციების საშუალებით მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება აიმაღლონ აკადემიური მოსწრება. მოსწავლის აკადემიური მიღწევების მხარდასაჭერად სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია გამოცდის ტიპები (სემესტრული, ექსტერნი, საშემოდგომო, წლიური). სემესტრული გამოცდის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია აიმაღლოს ქულა, საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდის წინ ინიშნება კონსულტაციები მოსწავლეებისათვის.

მასწავლებლები დავალებების დამუშავების ეტაპებზე, ასევე აქტივობების დაგეგმვისას იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეებს თვითრეალიზებაში, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების ფორმაში არის გაწერილი მოსწავლის უფლებები. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ ყველა მოსწავლეს აქვს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლემ ისარგებლოს შინ სწავლებით. სკოლა უზრუნველყოფს: მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარების, მოსწავლეთა სირთულეებისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და დახმარების პროცესის, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის, მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქო-ემოციური განვითარების ასევე, მოსწავლეთა უფლებების დაცვის ხელშეწყობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლაში მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან ითანამშრომლონ, წარადგინონ და განახორციელონ ინიციატივები. სკოლაში განხორციელებულ პროექტებში დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ინიციატივებს, ინიციატივების წახალისებასა და მხარდაჭერას. სკოლაში ფუნქციონირებს STEM მეცნიერებათა კლუბი „ლაბორატორიის ლეგენდები“. კლუბის დებულებაში გაწერილია მოზნები, აქტივობები, შეფასების სისტემა. კლუბის მიზანია: მოსწავლეთა დაინტერესება-მოტივაციის გაზრდა STEM მეცნიერებების მიმართ; ინდივიდუალური, დამოუკიდებელი, ჯგუფური მუშაობის, კომუნიკაციის, ახლის ძიების, პრობლემის გააზრების და გადაჭრის გზების უნარების გამომუშავება; მოსწავლეებში თანამშრომლობის, გუნდურობის განვითარება; მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების აღმოჩენა და შემდეგ მათი განვითარება; STEM მიმართულებისთვის საჭირო უნარების განვითარება; აქტიური მონაწილეობა ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადასა და სასწავლო კონფერენციებში. კლუბის წევრების ცართულნი არიან სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში:

- Technovation Girls Sakartvelo;
- Moon camp challenge 2024;
- **Teens in AI 2024 Georgia** -თემა გენდერული თანასწორობა

სკოლის სოციალურ ქსელში არის განთავსებული ღონისძიებებისა და პროექტების ამსახველი მასალა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

- ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ მარეგულირებელ დოკუმენტში კონკრეტულად გაიწეროს მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის უზრუნველყოფის მექანიზმები, პასუხისმგებელი პირებისა და ვადების მითითებით.
6. მოსწავლეთა უკუკავშირის მიზნით სოციალურ ქსელებში შექმნილია მოსწავლეთა და მშობელთა ჯგუფები. უკუკავშირის მიღება ხორციელდება მშობელთა გაერთიანებულ შეკრებებზე, ფორმის კითხვარების, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელების საშუალებით. სკოლაში წლების აქტიურად მუშაობს სპიკერ მშობელთა კლუბი. ეს არის დირექტორთან სოციალური ქსელით შექმნილი ჯგუფი(მესინჯერში), სადაც გაერთიანებულია მშობლების მიერ არჩეული თითო კლასიდან თითო წარმომადგენელი. სპიკერებს უშუალო კომუნიკაცია აქვთ დირექტორთან და წლის განმავლობაში ხდება ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა/ მიღებულ უკუკავშირს სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ვებგვერდი;
- სოციალური ქსელი;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“
- დირექტორის ბრძანება N2-315, 01.06.2023

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. სკოლა მოსწავლეებს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვადასხვა პროფესიების შესახებ. სკოლაში დამრიგებლის საათში ჩაშენებულია პროექტი, რომელიც აცნობებს ცალკეულ პროფესიათა თავისებურებებს, ხდება სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მოწვევა, სადაც ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესი, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურზე, ხშირია ექსკურსიები სხვადასხვა საწარმოებში, XI- XII კლასის მოსწავლეების შეხვედრები უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან.



სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებთან:

- შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA“;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „Natali Academy“;
- სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“.

მემორანდუმების თანახმად გათვალისწინებულია თანამშრომლობა შესაბამისი საფეხურის დასრულების შედეგში კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, მოსწავლეების პროფესიული განვითარების პოპულარიზაცია, ცნობიერების ამაღლება არაფორმალური აქტივობების წახალისება და ინიციატივების მხარდაჭერა.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ 9-12 კლასის მოსწავლეები ესწრებოდნენ ლექციებს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტსა და ილიას უნივერსიტეტში, სადაც, მონაწილეობას იღებენ ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიული ცდების ჩატარებასა და სხვა აქტივობებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მოსწავლეებს სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვადასხვა პროფესიების შესახებ. ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მიმდინარე სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულებების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რომელიც ხორციელდება ფორმის კითხვარების საშუალებით, სკოლა აპირებს მომსახურების ხარისხიანობის შეფასებასა და გაუმჯობესებას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მშობელთა კრებებსა თუ ინდივიდუალურ შეხვედრებზე მოხდება მშობლების, ხოლო მოსწავლეთა თვითმმართველობის ან დამრიგებელთა საშუალებით კი - მოსწავლეთა მოსაზრებების მოსმენა, რომელიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმი ბიზნეს აკადემიასთან;
- მემორანდუმი შპს საზოგადოებრივ კოლეჯთან „Natali Academy“
- მემორანდუმი სსიპ - კოლეჯთან „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლება. მასში დეტალურადაა გაწერილი სსსმ მოსწავლეთა შეფასების მექანიზმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ძირითადი საკითხები, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და შინსწავლების საკითხები, ასევე სსსმ მოსწავლეთა უფლებები. დირექტორის ბრძანებით შემნილია ისე ჯგუფი. სსსმ მოსწავლეების შეფასება ხდება 4-5-ჯერ წელიწადში, რაც ასახულია შეხვედრების ოქმებში. სკოლას „მოსწავლეთა ადაპტაციის წესში“ აქვს გაწერილია სსსმ მოსწავლეებისათვის სერვისების მიწოდების რეგულაციები. სკოლაში სსსმ მოსწავლეებისათვის განსაზღვრულია რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერებითა და დამხმარე რესურსებით. სკოლას ჰყავს 2 სპეცმასწავლებელი, 2 ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, სპეციალური საჭიროების მქონე პირის 10 ასისტენტი, რომელთაგანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 34 სსსმ მოსწავლე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში ირიცხება 34 მოსწავლე. მათთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისე ჯგუფის შეხვედრის შემდეგ საგნის მასწავლებლები განსაზღვრავენ მოსწავლის აქტუალურ დონეს, ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. მოსწავლის შესაძლებლობისა და უნარების გათვალისწინებით იწერება მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნები, აქტივობების შერჩევა და სასკოლო დავალებების ადაპტირება. სპეციალური მასწავლებელი შეიმუშავებს ინტერვენციის გეგმას, ადგენს რესურს ოთახში მოსწავლესთან მუშაობის ცხრილს. ამ პროცესში ჩართულია მშობელი და გათვალისწინებულია მისი ინტერესები. მშობლებისთვის სასწავლო პროცესი არის გამჭვირვალე, სკოლაში გუნდურად ხდება მუშაობა მოსწავლის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, მეგობრებთან ურთიერთობაზე. სკოლა იცავს მოსწავლის კონფიდენციალურობას, მოსწავლის პორტფოლიო და პირადი საქმე ხელმისაწვდომია მხოლოდ ისე ჯგუფის წევრებისთვის, რესურს ოთახში გაკრულია მეცადინეობების განრიგი. სკოლაში ტარდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიება: დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე, აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“;
- ხელშეკრულება ფსიქოლოგთან;
- ხელშეკრულება სპეცმასწავლებელთან;
- ხელშეკრულება ენისა და მეტყველების სპეციალისტთან;
- ხელშეკრულება სპეციალური საჭიროების მქონე პირთან
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- 2023-2024 სასწ.წ. პირველი სემესტრის ანგარიში სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებით;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება N2-606, 12.09.2023;
- ისგ სხდომის ოქმი;
- სპეცმასწავლებლის პორტფოლიო;
- რესურსოთახის განრიგი;
- საშტატო განრიგი;
- დირექტორის ბრძანება N1/კ-29, 15.02.2023;
- სკოლის მიმართვის ფორმა შეფასების მიზნით;
- შიდა მონიტორინგის ბრძანება ცვლილებით N2-03, 12.01.2024;
- შიდა მონიტორინგის წესი;
- დირექტორის ბრძანება N2-183, 18.05.2018

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
- შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
- შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- სკოლა სარგებლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქვეპროგრამის „ტრანსპორტირება“ მხარდაჭერით და სთავაზობს მომსახურებას შშმ მოსწავლეს, რომელსაც სკოლამდე გასავლელი აქვთ 2 კილომეტრზე მეტი მანძილი. ტრანსპორტი ემსახურება 1 მოსწავლეს (ერთი ავტომანქანა). ამის თაობაზე სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან სკოლას აქვს დადებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ(N32021002/03/24, 12.01.2024). სკოლას დირექტორის ბრძანებით(ბრძანება N1/კ-25, 06.02.2024) განსაზღვრული ჰყავს ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ყოველდღიურად აღრიცხავს ტრანსპორტის გადაადგილებას. დირექტორის მიერ დამოწმებული შევსებული ტაბელი ყოველთვიურად ეგზავნება რესურსცენტრს. სკოლაში ფუნქციონირებს სასადილო, რომელიც გაცემულია იჯარით და შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან (საბჭოს სხდომის ოქმი N13, 17.10.2023). ასევე იჯარით არის გაცემული ფართები შემდეგი წრეებისათვის: ქართული ცეკვის წრე, კარატეს წრე, გახანგრძლივებულის წრე, თეატრალური სტუდია, ინგლისური ენის წრე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია



2. არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არის ნებაყოფლობითი. მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. მშობლებთან გაფორმდება ხელშეკრულებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლება მოპოვებული აქვთ მოიჯარეებს და შესაბამისად უსაფრთხოების ნორმების დაცვა მათი ვალდებულებაა და განსაზღვრულია ხელშეკრულებით. მიუხედავად ამისა, სკოლის სასადილო მოწმდება ჯგუფის მიერ, რომელშიც შედიან ექიმი, მასწავლებელი და მოსწავლე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ნებართვა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;

- იჯარის თანხმობა;
- იჯარის წერილი;
- სამეურვეოს თანხმობის ოქმი;
- სატრანსპორტო ხელშეკრულება;
- ტრანსპორტზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება N1/კ-25, 06.02.2024;
- ტრანსპორტის ტაბელი;
- ტრანსპორტის ცხრილი;
- იჯარის ხელშეკრულება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
